

№37 (301)

# ქართული ოცნება

23 - 29 სექტემბერი 2015 წ.

ფასი 1 ლარი

ლიბერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“  
ვინაიდან ჟინაძე



»» 89-9 გვ.

# SOS! დიდი დალატი საქართველოს მთავრობაში

განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე  
ოკუპანტებთან თანამშრომლობს?!

## „აგეციების „მეშოკი“ – სააკაფვილ-ადეიშვილის ფარული ჩანაწერი



»» 89-4 გვ.

**რბ  
უბედურებას  
მოგვითანს  
მყინვარწვერის  
დნობა**  
»» 89-10-11 გვ.

**როგორ განკურნა  
ქართველმა  
ფსიქოთერაპევტმა  
ვანგა ნაღვლის  
ბუშტის შეტევისგან**  
»» 89-17 გვ.

## „ამომრჩეველს იმედი აღარ აქვს, რომ „ქართული ოცნება“ „ნაციონალური“ რევანშისგან დაიცავს!“



»» 89-2-3 გვ.

„ქართული ოცნების“ საცოდაოების შეფასებას, დიდი ხნის წინ იღვას გამიჩნდა, რომ ქართულ პოლიტიკას ახალი სისხლი სჭირდება. კოალიცია უკვე კომიკურ სიტუაციაშია, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ახლოვალ-ნათესავებით დაკომპლექტებული პარტიის რიგებში მყოფები მოსახლეობასთან საერთო ენას ვეღარ ნახულობენ. კოალიცია „ქართული ოცნების“ გაზაფხუ ახალი პარტიის შექმნა, ვისაც ქვეყნის მართვაზე პრეტენზია ექნება, შეუძლებელია. ახალი სახეები საჭირო, ახალი ცოცხალი ძალები სჭირდება და არა – მორიგი მონების თევზისაგან. ქვეყანა, საბერძნეთისა და საქართველოს თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გზაგასასაჩარხე დგას. მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება, მსოფლიო წესრიგის დაგეგმვა მიდის, საქართველოში კი გვერდი მოთამაშება დაინტერესებული. მთელი სამხარო ამდგომეულ წყალში თევზის დაჭერას ცდილობს, საქართველო ამ ამდგომეული წყლის ანარეკლია.“



»» 89-8 გვ.

## „თუ რაღე მომივა, ეს დოკუმენტაცია გამოაქვეყნეთ!“


ადვოკატი პანკ „რესპუბლიკას“ 70 მილიონის მითვისებას ედავება – რატომ ფიგურირებს საქმეში ბარდაცვლილი ქართლოს ღარიბაშვილი

## დიდი „ბარდაკი“ თსუ-ში



»» 89-12 გვ.

„მორჩით მზესუფირის  
ჭამას და მოგვხედეთ!“ –  
სტუდენტების მიმართება  
ადმინისტრაციას



საქართველო  
საქართველო

■ □ **ემსპირტი**

# „ამომრჩეველს იმედი აღარ აქვს, რომ „ქართული ოცნება“ „ნაციონალური“ რეჟანშისგან დაიცავს!“

თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გათავისუფლებასა და მეორე დღეს საქალაქო სასამართლოს განჩინებით დაკავებას საზოგადოება მძაფრი არაერთგვაროვანი რეაქციით შეხვდა. პარლამენტის სპიკერმა მანან კობახიძემ უგულავას ადვოკატს კლიენტის გათავისუფლება მიულოცა და დასძინა: „ვინც უნდა გვაკრიტიკოს, ხომ ფაქტია, რომ დღეს ხელისუფლება უფრო ადამიანურია, ვიდრე ოდესმე!“ პოლიტოლოგ სათუნა ლაბაზიძეს კი მიაჩნია, რომ ხელისუფლება თვითგანადგურების რეჟიმზე გადავიდა... რა საშინაო და საგარეო გამოწვევების წინაშე დგას „ქართული ოცნება“? — „ქართული სიტყვა“ ხატუნა ლაბაზიძის ესაუბრა.

ელვისთვის ყველაზე ცუდია, რადგან ამომრჩევლის ნაწილი „ნაციონალებთან“ საბრძოლველად გვერდით აღარ დაუდგება — ბევრი სახელში დარჩება, მედროვეები კი, ან კვლავ „ნაციონალთა“ გუნდში გადახტებიან, ან ძებნას სხვა პარტიას დაუწყებენ. არადა, „ქართულ ოცნებას“ საზოგადოების ამ ნაწილის წინაშე ვალდებულება აკისრია. — ქალბატონო სათუნა, კახეთის სოფლებში უნდა შეექმნათ. ყველაფერმა ამან სრულიად წარმოუდგენელ პრობლემამდე მიგვიყვანა, სახელმწიფოსა და მოქალაქის ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა. არადა, სახელმწიფო ვალდებულია, საკუთარი მოქალაქის მოთხოვნილებები დაიცვას, მოქალაქე კი, — სახელმწიფო ინტერესები. — გამოდის, რომ ვერა და ვერ ხერხდება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება...

— ქალბატონო სათუნა, გიგი უგულავას გათავისუფლება-დაკავება რაზე მიგვანიშნებს, რა პროცესებთან გვაქვს საქმე?  
— საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ და გიგი უგულავას გათავისუფლებამ სახელმწიფოში, მიღწევებთან ერთად, სისტემური პრობლემებიც გამოკვეთა. დადასტურდა, რომ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი შედარებით მაღალია, მაგრამ ისიც გამოიკვეთა, რომ კონსტიტუციის ამ შეუსაბამო მუხლის ავტორი უგულავას მშობლიური „ნაციონალიზმია“.  
— ანუ, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ სასამართლო თავისუფალია?  
— მიმაჩნია, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა: „ოცნება“ ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს აკონტროლებს, მაგრამ სასამართლო ხელისუფლების სრულ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან ის „ნაციონალიზმის“ დიდ ზეგავლენას განიცდის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მომავალი არჩევნების ბედს მხოლოდ ამომრჩეველი კი არა, სასამართლო გადაწყვეტს, რომლის იმედიც ოპოზიციას ექნება. არჩევნებში „ნაციონალები“ მონაწილეობას ამომრჩევლის კი არა, უფრო სასამართლოს იმედად მიიღებენ. თუ არჩევნებამდე ვითარება არ შეიცვალა, ამომრჩეველს ასარჩევი ბევრი არავინ ეყოლება, რაც არჩევნებისადმი მოსახლეობის ინტერესსა და პარლამენტის ლეგიტიმაციის დონეს შეამცირებს.



**ხატუნა ლაბაზიძე: „მოგვალ არჩევნებში ხელისუფლების ყველაზე მძიმე ოპოზიცია სწორედ კახეთი იქნება!“**

„ქართული ოცნების“ საცოდაობის შეფასებას, დიდი ხნის წინ იღებ ბაიბრანდს, რომ ქართულ პოლიტიკას ახალი სისხლი სჭირდება. კოალიცია უკვე კომიკურ სიტუაციაშია, განსაკუთრებით რეპროდუქციის, სადაც ახლოვალ-ნათესავებით დაკომპლექსებული პარტიის რიგებში მყოფები მოსახლეობასთან სერიოზულ ენას ვეღარ ნახულობენ. კოალიცია „ქართული ოცნების“ ბაზაზე ახალი პარტიის შექმნა, ვისაც ძველნი მართვანა პრეტენზია ექნება, შეუძლებელია. ახალი სახეები საჭირო, ახალი ცოცხალი ძალების პარტია და არა — მორიგი მონების თაყვანსაყარი. ძველანა, საგარეო შინაგონი და საშინაო თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გზაგასაყარზე დგას. მსოფლიოს ხელახალი გადაგნაწილება, მსოფლიო წესრიგის დაგვირგობა მიდის, საქართველოში კი ბევრი მოთავაშება დაინტერესებული. მთელი სამყარო ამდგომეულ წყალში თევზის დაჭარბებას ცდილობს, საქართველო ამ ამდგომეულ წყლის ანარქია.“



ბში გლეხები აქციებს მართავენ და ყურძენზე დაბალ ფასებს აპროტესტებდნენ. მევენახეები ითხოვენ, რომ ღვინის ქარხნებმა საფერავი, მინიმუმ, 1,50, რქანთელი კი, 1 ლარად ჩაიბარონ...  
— სუბსიდირება კომპლექსური თემაა, ხელისუფლების პოლიტიკა ადამიანთა ცხოვრების სტიმულირებისკენ უნდა იყოს მიმართული. სუბსიდირება კი, განვითარების საშუალება ერთ სფეროშიც ვერ იქნება. დღეს ხელისუფლებისთვის სუბსიდირება სოციალური პრობლემების მოგვარების ერთგვარი ხერხია. კახელი გლეხი რუსული ბაზრის გახსნის იდეას, როგორც ქართული ეკონომიკის ხსნის უპირობო გზას იყო ჩაბლაუჭებული.  
— პრობლემის აცილების ერთი გზა, ალბათ, ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მოსახლეობისთვის ინფორმაციის მინიოდებაა, არა?  
— ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებულია, მოსახლეობა ინფორმირებული ჰყავდეს, გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, დაამუშავოს ალტერნატიული შეთავაზებების ვარიანტები. ხელისუფლებამ მშვენივრად იცოდა, რომ რუსულ ბაზარზე იმდენი ღვინო ვერ გავიდოდა, რაც წინა ორ წელს გავიდა. შესაბამისად, იმდენ ყურძენს ვერც სახელმწიფო ჩაიბარებდა და ვერც — ბიზნესმენი. რუსული ბაზრისგან პანაცეა

ბა...  
— წელს, სახელმწიფომ კახელ გლეხს ყურძენში გარკვეული ფასი გადაუხადა, რამდენიმე თვეში ციტრუსის მოსავალი მოვა. მათაც ხომ სჭირდებათ სუბსიდირება?! ასეთი პოლიტიკით, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო გაკოტრდება. კიდევ უარესი: რაც მეტი ლარი წავა მიმოქცევაში, ეროვნული ვალუტა უფრო გაუფასურდება. ხელისუფლების გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგად ისეთი დასკვნა კეთდება, რომ სახელმწიფო მოქალაქის ინტერესებს არ აკმაყოფილებს, მოქალაქეს კი, სახელმწიფოს ინტერესები არ ესმის. სისტემურად მცდარი მიდგომაა, ჩვენი სახელმწიფო სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო ვერ იქნება, მილიონები წავიდა ხვანთესასა და კახელი გლეხების სუბსიდირებაში, მადლიერი კი არავინაა, რადგან ყველაფერი ერთჯერადი საარჩევნო პოლიტიკისათვის კეთდება. ვერც კახელ გლეხს გაამტყუნებ: მოსავალი მოიყვანა და ვერ ყიდის. შედეგად, ის მივიღეთ, რომ მომავალ არჩევნებში ხელისუფლების ყველაზე მძიმე ოპოზიცია სწორედ კახეთი იქნება.  
— სახელმწიფოს განვითარების გრძელვადიანი გეგმა არ აქვს და არჩევნებიდან არჩევნებამდე ვცვლავრობთ...  
— ხელისუფლებამ არა ერთხელ გაახმოვანა, რომ რეგიონების განვითარებაზე ორიენტირებული, მაგრამ საქმე არ ჩანს. მთავრობის ახლომხედველობითი პოლიტიკის საპასუხოდ გურიის რეგიონს მოვიყვან: გურიის რამდენიმე უნიკალური კურორტი აქვს, რომელსაც, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, შეუძლია, გურიის შეინახოს. ურეკის უნიკალური სამედიცინო და სამკურნალო თვისებები მსოფლიო მნიშვნელობისაა, მაგრამ იქაურობა იმდენად მოუწესრიგებულია, რომ „გეტოს“ უფრო ჰგავს, ვიდრე — კურორტს. ურეკს დამსვენებლის მიღება 12 თვის განმავლობაში შეუძლია, დასაქმების პრობლემასაც გადაჭრის, გურიის სოფლის ნაწარმსაც მთლიანად შეისყიდოს და მთელ რეგიონს შეინახავს. ამისთვის ხელისუფლებისგან ურეკის ინფრასტრუქტურის მონესრიგება და მსოფლიო სტანდარტების






საქართველოს სახელმწიფო ადმინისტრაციის საბიუროს საგარეო კავშირების სამსახური

გაზეთი

„მართლა, ფურთხის ღირსები ცხოვრობენ, — ასე გააპროტესტა სოციალურ ქსელში საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრმა, სალომე ზურაბიშვილმა...



გიორგი უგულავას გზა სტიქაროსნობიდან „მეტროსთვის“ ცინკედ

მოკლედ, ვიდრე ქალბატონი ზურაბიშვილი პროკურატურას კიცხავდა, მოსამართლემ ექსპერტიზა ჩაატარა და 4 წლითა და 6 თვით ისევ „მატროსოვზე“ გაუშვა.

შორის, გიორგი, აქტიურად გეგმავენ და აწყობენ აქციებს, უპირისპირდებიან სამართალდამცავ ორგანიზაციებს და ასე შემდეგ.

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის შემოსვენებულ ეპითეტს, ანუ უგულავას „ბოროტი მანქანის გენერატორობას“ და იდეოლოგიას, ახალი არაა.

„გიორგი ახალი სახელისუფლებო გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. ახალგაზრდა წლების მიუხედავად, მას ძალიან დიდი ავტორიტეტი აქვს“ — განაცხადა ან განსვენებულმა ჟვანიამ.

ფართო საზოგადოებამ უგულავა „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდში, ანუ მაშინ გაიცნო, როცა „კმარა“ ქვეყანას „აზნაზარებდა“.

გავიხსენოთ თუნდაც 2007 წლის სისხლიანი 7 ნოემბერი: გიორგი უგულავა ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც საპროტესტო აქციის დაშლის მეთოდით მოიწონა და განაცხადა, ხელისუფლებამ საზოგადოების მოთხოვნა შესარულო.

„ამბიციების „მეზოკი“ — სააკაშვილ-ადიუზვილის ფარული ჩანაწერი

არდაგიშლითო. ყველაფერ ამისაგან დაილა თითოეული ჩვენი მოქალაქე და ჩვენი ეს გადანაცვლებილი გამოხატავს სწორედ ჩვენი თითოეული თანამოქალაქის ინტერესს!

საზოგადოების ნაწილი ძეგლთან ღამეებს ათევდა, რომ უგულავას დავითი არ მოეპარა, მაგრამ დავით აღმაშენებელი მაინც „გაასახლეს“.

გიორგი უგულავა, მთავარსარდალთან ერთად, როგორც ამბობენ, აქტიურად მოქმედებდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც.

მერაბ რომ აირჩიეს, გიორგი იხუმრა, თავი კარგ ყულფში გავყავიო. ყულფში თავი მაშინ არა, მაგრამ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის მერე კი ნამდვილად გაყო: საზოგადოებას დღესაც კარგად ახსოვს მთავრობის ცნობილი სხდომა, როცა უგულავა პრემიერ ივანიშვილს დაუპირისპირდა.

გენერალი ნითელაშვილი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ნარკოტიკების მოხმარებისთვის დააკავეს და გაასამართლეს, ამბობს, იმიტომ დამაკავეს, რომ შემთხვევით ისეთი საუბარი მოვისმინე, რაც არ უნდა გამეგო.

— ასწავლეთ იმას ჭკუა, ვისაც ეს სჭირდება! — უთხრა მთავრობის სხდომაზე შეჭრილმა ქალაქის მერმა პრემიერს და დარბაზი დატოვა.

„ეს ამბავი აგვისტოს დღეებში ერთ-ერთ სამხედრო შტაბში მოხდა. ოთახში იმყოფებოდნენ გიორგი უგულავა, გიგა ბოკერია, გოკა გაბაშვილი, რომლებმაც გადანაცვით, რომ უნდა მომხდარიყო მშვიდობიანი მოსახლეობის ჩატოვება, რათა ყოფილიყო მასქიმაღერი მსხვერპლი, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობაში, ისე — სამხედრო ძალებში.“

ამ მოვლენების პარალელურად, გიორგი უგულავას თავზე ნელ-ნელა შავი ღრუბელი იკრებიბოდა. ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე დაპატიმრებულმა ექსპრემიერმა, ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, ოთხკაციანი საკანი მაქვს და უგულავას ჩემს „აპარტამენტებში“ დიდი სიამოვნებით მივიღებ და ციხის ცხოვრებასაც სიამოვნებით გავაცნობო.

მართალია, ნითელაშვილის ნათქვამი სიმართლის ბოლო ინსტანცია არაა, მაგრამ ფაქტია: გიორგი ყოველთვის იქ იყო, სადაც „არავინ ეკითხებოდა“. ასე, მაგალითად, ესწრებოდა მუხროვანის ამბოხის მონაწილე სამხედროების ლიკვიდაციის სპეცოპერაციას... ყველაფერ ამის გამო, კულუარებში ხშირად ამბობდნენ, რომ სააკაშვილის შემცველი იქნებოდა, ანუ თუკი 2012 წელს „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში დარჩებოდა, 2013 წელს გიორგი უგულავა პრეზიდენტი გახდებოდა, მიხეილ სააკაშვილი კი, — პრემიერი.

2014 წლის ადგილობრივი არჩევნების წინ, ხელისუფლებამ პოლიტიკურ ოპონენტებს მორატორიუმი გამოუცხადა და, შესაბამისად, გიორგი უგულავა „სვაბობაზე“ კიდევ ცოტა ხნით დარჩა: უგულავა, რომელსაც მერის უფლებამოსილება ჰქონდა შეჩერებული, სათავეში „ნაცმოძრაობის“ ქალაქის საარჩევნო შტაბს ჩაუდგა, მაგრამ ბოლომდე არ დასცალდა: მიუხედავად იმისა, რომ უკან მოსაბრუნებელი ბილეთიც შექმნილი ჰქონდა, უკრაინაში მიმავალი უგულავა აეროპორტში დააპატიმრეს და ბრალი რამდენიმე მუხლით წაუყენეს: რიყის ტერიტორიისა და ტელეკომპანია „იმედის“ გასხვიება, „სითი პარკთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, „შავი ფულის“ მართლსაწინააღმდეგო შემოღება და მარნეულის საოლქო კომისიის წევრებთან კონფლიქტი.

„გიორგი ახალი სახელისუფლებო გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. ახალგაზრდა წლების მიუხედავად, მას ძალიან დიდი ავტორიტეტი აქვს“ — განაცხადა ან განსვენებულმა ჟვანიამ.

ეს იყო და ეს, გიორგი უგულავა სასამართლო პროცესებზე მანამ აღარ გამოჩენილა, სანამ საკონსტიტუციო სასამართლომ ცნობილი გადანაცვლებილი საზოგადოებრივი აზრი ორად გაყო და დღემდე ვერ გარკვეულა, ვინ მოიგო ეს რაუნდი — ხელისუფლებამ, რომელმაც გამოშვებიდან 23 საათში გიორგი უგულავა ისევ „მატროსოვზე“ დააბრუნა თუ „ნაცმოძრაობამ“, რომელმაც ამ ფაქტს დიდი პრეცედენტი უწოდა.

„ხალხი დაილაღა ამ გამუდმებული ექსპერიმენტებით. პატარაკაციშვილ-ოქრუაშვილის, ოქრუაშვილ-პატარაკაციშვილის განუთავებელი ექსპერიმენტები. ერთი ღონედონიდან არქიფო სეთურივით გვმოძვრავს, მეორე გვეუბნება, აქციას დაგიშლით-

„ოქვენ დღეს ციხეში საქართველოს მომავალი პრემიერი ჩასვით!“ — ასეთი რეაქცია ჰქონდა ერთ-ერთ ცნობილ სახეს, როცა გიორგი უგულავა ისევ დაიჭირეს... გამართლებდა თუ არა ექსპერტის პროგნოზი „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში უდავო დაბრუნების შესახებ, ამას მხოლოდ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გავიგებთ.

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაც!“

კომუნია

კალი ალექსანდრე კუპკინი

მენის ქვილე შენ, ვგონებ, ბოდავ! მენის ქვილის ასული თავადები, თურმე ნუ იტყვი, ვით ქალიშვილი, არ არიან თავისუფალი ცოლის თხოვაში... მაგრამ იმით არვიან უკრძალავს ფიცს, დაპირებას, ცრემლებს ღვრას და მოტყუებას, ან ასეთ სიტყვებს: „მე წაგიყვან ჩემს სასახლეში და მოგათავსებ საიდუმლო კოშკის ოთახში, მოგრთავ ხავერდით და შეგმოსავ ალისფერ ფარჩით“. მათ არვიან უშლის, ქალიშვილებს რომ შეასწავლონ შუალამისას წამოდგომა დასტვენის ხმაზე, წისქვილის უკან მათთან ჯდომა გათენებამდე. მათ მოსწონთ, გული თავადური რომ ანებივრონ ჩვენი ჭირით და უბედობით; შემდეგ, – მშვიდობით! წადი, მიბრძანდი, გენაცვალე, სადაც მოგწონდეს, და შეიყვარე, ვინც გნებავდეს. მენის ქვილე ახლა გავიგე. მენის ქვილის ასული ვინ ჰყავს საცოლედ არჩეული? ნეტავ ვიცოდე, ვისზე გამცვალა? მე გავიგებ მის ვინაობას, მე მივალ მასთან, – არამზადა იმ დედაკაცთან, – და ვეტყვი, თავადს ჩამოშორდეს, რადგან ერთ ხრამში ორი ძუ მგელი ვერ იცხოვრებს. მენის ქვილე შენ ხარ სულელი! ვის შეუძლია, თავადს ხელი რომ შეუშალოს, თუ ის საცოლეს ამოირჩევს! ნუთუ არ გეხმის? ხომ მითქვამს შენთვის არა ერთხელ... მენის ქვილის ასული ან როგორ შესძლო ისე, ვით კაცმა გულკეთილმა, გამოთხოვება და საჩუქრების დატოვება? ა? როგორ მოგწონს? ფულის მოცემაც! სურდა თავი გამოეყვიდა! ცდილობდა ჩემთვის მოვერცხლილი როგორმე ენა, რომ საძრახისი მის შესახებ არსად თქმულიყო, და ცუდ ხმას ცოლის ყურებამდე არ მიეღწია. ჰო, მართლა, ახლა გამახსენდა, მან დამავალა, ეს ფული შენთვის გადმომეცა, რადგან ქალიშვილს არ უკრძალავდი მასთან ყოფნას, რომ არა მკაცრად მას ეპყრობოდი და უვლიდი... კეთილმოგზმარდეს დალუპვა ჩემი (გადასცემს ქისას). მენის ქვილე (თვალცრემლიანი) ღმერთო ჩემო, რას მოვეწნარი! ეგ რა მომესმა, რა გავიგე! ცოდვა შენთვის, შენს მშობელ მამას ამნაირად უსაყვედურო. ერთილა შვილი გამაჩნისარ ამ ქვეყანაზე, ერთი ნუგეში და სიამე სიბერის ხანაში. როგორ შემეძლო შემეზღუდა შენი სურვილი? ღმერთმა დამსაჯა იმისათვის, რომ ასე სუსტად ჩემს ვალს მამობრივს ვასრულებდი. მენის ქვილის ასული გული მეხუთვის! ჩემს კისერს თითქოს ცივი გველი შემოჭდობია. ო, მე მან გველი, გველი, ნაცვლად მარგალიტისა, ყელს მომახვია. (ჩამოიგლეჯს მარგალიტის ყელსაბამს) მენის ქვილე გონს, გონს მოდი... მენის ქვილის ასული აი, ასევე გაგგლეჯდი შენცა, არამზადავ, გველის წინილავ-წყულო, ვინც მე დამაშორე გულის სატრფოსა. შენ ბოდავ, ბოდავ უეჭველად. (მოიხსნის ჯილას) აი, – გვირგვინი, ჩემი გვირგვინი სამარცხვინო! თურმე ამითი დაგვაქორწინა ჩვენ ეშმაკმა მაშინ, როდესაც დავგმე, რაც იყო სანუკვარი. განქორწინებას ჩვენ ახლა ვახდენთ. დაიკარგე, ჩემო გვირგვინო! (გადისვრის ჯილას დნეპრში) ახლა კი მორჩა ყოველივე! (გადავარდება წყალში) მენის ქვილე (ძირს ეცემა) ოჰ, ვაი, ჩემს თავს! სცნა II თავადის კოშკი. ქორწილი. ნეფე-დედოფალი სუფრაზე სხედან. სტუმრები. ქალიშვილთა გუნდი. მამაქალი ჩვენ ეს ქორწილი მხიარულად გადავიხადეთ. ჩვენო თავადო, გაგიმარჯოს შენი მეუღლით. ჯანი, თანხმობა, სიყვარული უფალმა მოგცეთ,

ჩვენ კი შეგვეძლოს თქვენთან ხშირად დროს გატარება. ლამაზმანებო, მალხაზებო, თქვენ რად მიყურდით? თეთრო გედებო, ბროლის ყელი რად დაადუმეთ? ნუთუ სუყველამ იგალობეთ საგალობელი? ან ეგებ ყელი გამოგიშროთ ხანგრძლივ სიმღერამ? გუნდი მამაქალი, მამაქალი, უთავბოლო მამაქალი! დავეძებდით ცოლად ქალსა, – მივადექით ბოსტნის კვალსა. დაგვეღვარა კასრი ლუდი, – ბოსტანს ლუდის სუნი უდის. მივესალმეთ ჭიშკრის ბოძსა, შევევედრეთ პანტის რტოსა, პანტის რტოო, თუ პანტოო, გვითხარ, წავიდე სადაო! საცოლე გვსურს, სადმე ვნახოთ. მამაქალი, მისედი ახლა, – შენი ქისა ასნი მალლა. ქისაშია, ვატყობთ, ფული, რომ ახაროს ჩვენი გული. მამაქალი ეგ რა სიმღერა აირჩიეთ თქვენ, კუდრაჭებო! აჰა, წაიღეთ, – ოლონდ ნურას მისაყვედურებთ. (ასაჩუქრებს ქალიშვილებს) ერთი ხმა ფერად კენჭებზე, ყვითელ ქვიშაზე ჩქარი მდინარე მიილტვის, მიჰქრის. ჩქარ მდინარეში ორი პატარა, ორი პატარა თევზი სეირნობს. ერთი მეორეს ეტყვის: გსმენია, დაო, ამბავი ჩვენი მდინარის? როგორ ისწრობდა თავს ტურფა გუშინ და დახრჩობა დროს სატრფოს სწვევლიდა? მამაქალი მზეთუნახავნო! ეგ როგორი სიმღერა არის? იგი როდია საქორწილო, მე კარგად მესმის, გამოტყვით, ვინ თქვა ეგ სიმღერა? ქალიშვილები მე ის არ მითქვამს... არც მე... არც ჩვენა... მაშ, ვინ იყო, სიმღერა რომ თქვა? (ქალიშვილთა შორის ჩურჩულია) თავადი მე ვიცი, ვინ თქვა (წამოდგება სუფრიდან და ხმადაბლა ეტყვის მეჯინებეს), ის აქ ჩუმდება, შემოპარულა! დაუყოვნებლივ გაიყვანე, თანაც გამიგე, ვინ შემოუშვა, ვინ გაბედა? (მეჯინებე ქალიშვილებთან მივა) (თავადი დაჯდება თავისთვის) მას შეუძლია აურზაური აქ ასტეხოს. ისეთი დიდი,

რომ სირცხვილისგან ვეღარ შევძლო თავის დამალვა. ის მე თავს მომჭრის. მეჯინებე ვერ მოვძებნეთ, იგი არსად ჩანს. თავადი ეძიე. ვიცი, ის აქ არის და იმალება, ეს მან იმღერა. სტუმარი ოჰ, სასმელი ეს არის, ესა! თანაბრად გართმევს, თუ დალიე, თავსაც და ფხსაც. ოდნავ მწარეა: რომ შევატკბოთ, კარგი იქნება. (ნეფე-დედოფალი კოცნიან ერთმანეთს. ისმის სუსტი კივილი) თავადი ის არის! მისი გამყინავი კივილი. (მეჯინებეს) რაო? მეჯინებე დავძებნე ყველგან, ვერ ვიპოვე. თავადი ბრიყვო, სულელი. ძმადნაფიცო (ზეზე წამოდგება) ვფიქრობ, დრო არის ჩავაბაროთ მეუღლე თავადს და შევაფრქვიოთ ახალგაზრდებს პეშვებით სვია. (ყველანი დგებიან) მამაქალი ცხადია, დროა. მომანოდეთ ახლა მამალი. (ახალგაზრდებს აჭმევენ შემწვარი მამალის ხორცს, შემდეგ მათ სვიას შეაყრიან და დასაძინებელ ოთახში მიჰყავთ) მამაქალი ჩემო ძვირფასო ქალბატონო, ნუ გეშინია, იყავ მორჩილი, არ იტირო. (ახალგაზრდები საძინებელ ოთახში შედიან, სტუმრები, მამაქალისა და ძმადნაფიცის გარდა, დაიშლებიან) ძმადნაფიცო სად არის თასი? მთელ ღამეს ცხენით სიარული ფანჯრებქვეშ მელის და ღვინით ცოტა რომ შევმაგრდე, ცუდი როდია. მამაქალი (გაუფხვებს ღვინით თასს) აჰა, მიირთვი და შეირგე! ძმადნაფიცო ო, დიდად გმადლობ! ხომ ყველაფერი დაბოლოვდა კარგად, კეთილად? ქორწილიც იყო ჩინებული. მამაქალი ჰო, მადლობა ღმერთს. კარგად ჩატარდა ყველაფერი, ერთია ცუდი. ძმადნაფიცო რა, მაგალითად? მამაქალი სხვა სიმღერა, რალაც უმსგავსო, რომ უფალობეს. ეგ არ არის კარგი ნიშანი. ძმადნაფიცო რა გინდა უყო ქალიშვილებს! არ შეუძლიათ არ იეშმაკონ, არ იცელქონ... სად გაგონილა, რომ ვინმემ განზრახ ჩაუშხამოს თავადს ქორწილი? უკვე დრო არის, რომ წავიდე, ცხენს შემოვავჯდე, მშვიდობით, ჩემო ნათლიდედავ! მამაქალი ოჰ, გული მიგრძნობს! გადავიხადეთ უდროო დროს ჩვენ ეს ქორწილი.







„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენებელი ხარ...“  
დიდება შენა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა...“  
კარგე ღმერთი

საქართველო  
საქართველო

ახალი ღმერთი



● ეჭა, ქართველო, ესე არს გმირი! ღვთის ბოძებულნი და დანაპირნი... ნულარა სტირი, ესე არს გმირი! ამდენი ხანი რომ მოველოდი, ჩუმის ნატვრითა რომ ნატრულობდი, სულს იურვებდი და სულდგმულობდი, მოაქვამომდე რწმენით მხნეობდი... მზებრძოლობდი და უსასრულობდი... ეს არის გმირი! ეს არის გმირი! საქართველოსთვის თავგანაწირი! შენი სისხლის და სულის ნაწილი, ილიას სულთქმა, ვაჟას არწივი, ეს არის გმირი – ღვთის დანაპირი, სალი კლდესავით ქედგამართული, ხახხადაფრენილ ურჩხულთა რისხვად, ძღვევის მახვილად ამონვართული... ჯიში ქართული, გენი ქართული შენი სისხლის და სულის ნაწილი, ცამდე მართალი, საქართველოს უცნობი გმირი თავგანაწირი! ეჭა, ქართველო, ნულარა სტირი – ესე არს გმირი! ესე არს გმირი!

● ბედისწერაა, აბა, რა არის? რაიც გადაგზდა... და თუ უარესს მოველი... აბა, რა დაუამებს ტკივილებს მოკვდავს? ვინ აზიარებს ცოდვილთა მოდგმას? ნიადაგ გოდებს სული ეული, სისხლი კი ბორგავს... გადამსხვრეული იმედის მალეებს კვლავ ამთლიანებს რწმენის არტერია და იკრებს ძალებს და ახელ თვალებს, ჰორიზონტზე კი კვლავ მტერია!

● ეძებ რაზისს უდაბნოს ხეატში, მზითდაკოცნილი გენვის ტურები, არ ვიცი როგორ, მაგრამ თუ მაინც მაგ მირაჟებსაც გადაურჩები... დაგიბრუნებენ ჩემი ქალაქის ჩრდილჩახერგილი გრილი ქუჩები... მერე დაღლილი ჩიტუნასავით ჩემს აივანზე შეიყუჩები, რომ გათანგული სული მოითქვა... მე კი, ჯერ კიდევ, იმ სიტყვას ვეძებ, სამყაროს შექმნის დღიდან რომ ითქვა და ამ ცხოვრებას უდაბნოეთში უგზო-უკვალოდ გაქრა, მოინთქა... ის, ვინც დაეძებს იპოვის კიდევ, უკიდვანოს რომ გასცდე კიდევ... უფალმა იცის, მხოლოდ და მხოლოდ, მაგ სუსტი მხრებით რა ტვირთი ზიდევ... დროის წამზომი ჩართულია და ახლა ვხვდები, რა რთულია სივრცის და დროის შეჯერება... მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ წამში მარადისის შეჩერება... როგორც სხეულის ხსნას მაცხოვრის ხატში, ეძებ რაზისს უდაბნოს ხეატში...

სიძლერა თბილისზე  
მაინც სხვა არის, როცა თბილისი თბილისობს, როცა გული ხალისობს, როცა მთანმინდა შემოდგომის მზეს მიმინოსავით, მკლავზე დაისვამს... მაინც სხვა არის, როცა მეტეხთან დედაქალაქი გულში გიკონებს, სიონის ახლოს უფლის ღვთისა და დედო ზარის ხმას რომ გაიგონებ... თბილისი ისევ თბილისქალაქობს, ისევ სასევა მზით და ბარაქით, თბილისი – ჩემი სულის ალაგი, ჩემი ოცნების დედაქალაქი! მაინც სხვა არის, როცა თბილისი თბილისობს, როცა გული ხალისობს, როცა მთანმინდა შემოდგომის მზეს მიმინოსავით, მკლავზე დაისვამს...

● გადამიშალე საოცრებათა ყდაში ჩასმული ბოლო ფურცელი, ვერ დაგიშალე... თუ რამ მებადა, მე იმ ცდუნებას ვერ გავუძელი... და დამრჩი ასე... გადაფურცლული ნიგნივით გვერდზე გადადებული. ხარ შეუვალნი და მარტოსული, ხარ უჩვეულო, ნაუკითხავი ნიგნივით ვრცელი და სასურველი, ავი სენივით განუკითხავი, განუსჯელი და განუკურნელი. ვერ მოგათავსე სულის თთარროზე, ვერ ამოგგლიჯე – ბოლო ფურცელი, თუ მაგ ტკივილებს ვუავგაროზე, ალბათ, ცდუნებას ვერ გავუძელი...

ღვინობისთვე შემოსნის სარქველს წლიდან წლამდე ნაბახუსეც ჭურებს, გოდრებივით შემოუნყობს ჭორებს ქარვის მტევენებს... მზით დანალმულ ჭურებს. ბედისწერის მარდი თითისტარი გულებს შორის ლაბირინთებს ხლართავს, არ გაბრიყვდე, სიცრუეა მტკნარი, ყველა ჭორი როდი მყვება მართალს! მაჭანკალი იხტიბარს არ იცვლის, სანახელში აბუზუნდა წიქა. ყველა ჩემი საიდუმლო იცის, პირზე ქაფი მოერია მაჭარს... – ბედი კარზე მოგადგაო, ღმერთო – სიტყვა-სიტყვით გადმომიკრა მზერამ, ჭორია-თქო, არაფერი მკითხო, რა ბავშვივით ყველაფერი გჯერა! ჭიგო მკლავზე გადაიწვეს ვაზებს, მკერდევეშ ნაზად შეუცურებს თითებს, ქარვის მტევენებს – მზით დანალმულ ვაზებს ღვინობისთვე სანახელში ისვრის... შენ კი ისევ უჩემობას ითმენ, ნუთუ მართლა გამიმეტებ სხვისთვის?... ჭორია-თქო, დაიჯერე ჭორი, როგორ ენდე შემოდგომის ქარებს?! უყვარხარო! – ამომძახებს ჭური, ბედს რომ ცხვირწინ მიუხურავ კარებს!

● გაბრუნებული სიზმრით და ღამით, შემკრთალი ფოთლის უცნაურ ქამით, შენ უხებული ათასი რამით გაყურდა, წამით, ჩემი არსება... მერე ვუპოვე რალაც მსგავსება შენი და ღამის მღვრიე ავთვალებს... და ტკივილების გადაფასება დაღლილი სულის ბოდვად ჩავთვალე...

„შენც შემოდგომის შეხინდვება დაბადება აკმა...“  
რეზო ამაშუკელი  
მიმწუხრის ნისლი დაემხო სარკმელს, ღამემ ცას მთვარის დაკიდა სარკე, ღამემ ელფერი უცვალა საგნებს... „შენც შემოდგომის შეხინდვებამ დაბადება აკმა...“  
იკმარე ერთი ციდა ოცნება... ჰგავდა სივრცეთა გასხვიონებას ალტაცების ლაბირინთები, ნუხელ როილს, პირზე რძესავით, შეაშრა გამა – თბილი თითების... ღელავდა, დულდა და იღვრებოდა საოცრებათა ძველი სკივრიდან, სულში სანთელი მეფინებოდა, ჟრუანტელივით ტანში მივიღიდა შემოდგომის ბოლო აკორდი... და მომაგონდა, როგორ აკორდა როგორ აზვირთდა და აიფაფრა სულში მუსიკა... მერე დაღონდა, ისევ დამშვიდდა, დაწყნარდა, დატკბა და დაითაფლა... პოეტის თეთრი, ნატიფი ხელი ნითელ როილს მაჯას უთვლიდა... და შემოდგომა შემოდიოდა სულში... თანდათან, ოთხივ კუთხიდან... ასწალების ძველი ყუთიდან მზითევივით ამოვალაგე შემოდგომის ჭრელი ჩითები... ატმის ტოტივით უთროდა სახე შემოდგომის ქარში მუსიკას, ცარიელია ახლა ის სახლი, ნითელ როილს აღარ უზიხარო?... დაგმე დიდების ცივი მწვერვალი – მარადიული სიმშვიდის აკმა! ატმის ტოტი კი, ისევ მღვღინავრე, ატკარცალეულ სექტემბერს აკმევს...

ამითვისტო  
ფიფტი იყო და ხელში ჩამაკვდა, ცრემლი იყო და გადმომეღვარა, აღარ იყო და თვალში დამაკვდა, იყო და ახლოს არ მომეკარა. გული იყო და ამიყოლია, ქარი იყო და გამიყოლია, დარდი იყო და გადამიყოლა, ზღაპარ იყო და არა იყო რა... ათასმეერთე ფიქრით გავერთე, ათი მცნებით და გზნებით ვიცხოვრე, ხატი იყო და სანთლად ავენთე, ლოცვა იყო და სული ვიცხოვნი. დარდი იყო და ვერ შეველიე, მარტო იყო და ვერ შევერიე, მარტი იყო და გამომეპარა, კერპი იყო და არ მომეკარა! ცრემლი იყო და გულზე დამაკვდა, სიზმრად ჩამყვა და ჩამიყოლია, ცეცხლი იყო და ქარი დამაკვდა, ქალი ვიყავ და... დამიყოლია!

● ქარი ძალღვივით ჩამიდგა კვალში, ღამე ბავშვივით ჩამიდგა ჯიბრში, შიშს ულმობელი თვალები ჰქონდა, სულში ყველაფერს თრგუნავდა შიში. მკვდრის გულგრილობით ბოლომდე ვითმენ დასამარს დროს და ჩასაჩენ ნაპარალს, ოდესმე მაინც წაანყდე, იქნებ, ჩემი ფიქრით მდუმარე საფლავს... სიკვდილი კოჭლი ცხვარვივით ითრევს ფეხს... მიიძოვს ცხოვრების გზან ვრილს, მე სიკვდილივით გიციდი და გითმენ და ცა გახელილ თვალბში მანვიმს...

მოყვარულთა კლუბი

აქმუნვე სურათაშუკი

რა ენა წახდეს! დანანებით წერდა ილია, ენას საკუთარს ვინც აკნინებს ის რა შვილია, ამგვარ საქციელს მე ვერავის ვერ მოვეუნონებ მე მასეთ ქართველს – ნამდვილ ქართველს როგორ ვუნოდებ ენა ქართული – სანუკვარი განძი რამ არის, ენა: დავითის, რუსთაველის, მეფე თამარის, ვით შეიძლება არ ესმოდეს მაგანს და მაგანს, რომ ენას უნდა გაუფრთხილდეს – ყველაზე მთავარს. არაფერია ახლობელი – შემდგომ უფლისა თუ არა ენა მშობლიური – საზრდო სულისა, გაითავისებს და მის მოვლას გაიხდის ვალად, ვისაც თვალთ უჭრის და ჭკუასთან არ არის მწყრალად! და შენი ვინცა ხარ, დაუკვირდი, როგორ ირჯები რატომ გამოთქვამ ქართულ სიტყვებს – დამახინჯებით, დაიმასსოვრე, რომ ეს არის ქვეყანა – ვაზის მეფე დემეტრეს, მირიანის და ფარნავაზის!


გოდირძი ჩოხლის სსოვნას  
ქართველ მწერლების სიაში ბრწყინვალე მარგალიტი ხარ! წინაპართ ყლორტზე ნაზარდო, წინაპართ კართან მისულხარ. მთელი ცხოვრების მანძილზე დარდი თან გდევდა მარადის, თუნცა ამ სევდა-ვარამსა ისე ღამაზად მჭარავდი, რომ შენი გული ის ნუხილის ბეგრმა არც არა იცოდა. მაღლიან კალმით ხელშია „ჰკოცნე“ წინაპართ ფესვები, შენს მოთხრობებში – სამშობლოს სათუთად ეალერსები. მორიდებული იყავი ნიმუში – თავმდაბლობისა სიამეს გგვრიდა შრომაში ალაღად დაღვრა ოფლისა.





„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარინა ლუცინა



საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადებით, გამოცემის ოთხშაბათობით

განათლება

# SOS!

გვიკვირდა, როცა აღმოვაჩინეთ, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ეს რეგიონები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იყო მოხსენიებული. მაშინაც აღვშფოთდით, როცა გავიგეთ, რომ გალში ქართულენოვანი სკოლები დახურეს და ქართველ ბავშვებს აიძულეს, განათლება რუსულ, ან აფხაზურ ენაზე მიიღონ. მათ კი, ვისაც განათლების ქართულად მიღება უნდათ, ენგურის გადაღმა აღარ უშვებენ. მაშინ ვამბობდით, რომ საქართველოს მთავრობა ამ ამბით აუცილებლად უნდა დაინტერესებულიყო და შესაბამისი რეაგირებაც მოეხდინა, მაგრამ... ჰოი, საოცრება! – ისეთი პირი უჩანს, რომ მოლაღატე სხვაგან კი არა, აქვე, ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უნდა ვეძებოთ! რატომ? რატომ და, – აი, ამიტომ:

## დიდი დალატი საქართველოს მთავრობაში

### განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე ოკუპანტებთან თანამშრომლობს?!



ახალი სასწავლო წლისთვის თბილისის ერთმა რუსულენოვანმა სკოლამ „სიურპრიზი“ მოგვიწყო: სასწავლო წლის დაწყებისას ჩატარებულ კრებაზე მშობლებს, დამატებით სახელმძღვანელოებთან ერთად, რუსულენოვანი ატლასიც დაურიგეს, სადაც ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად არიან მოხსენიებული. აყალმაყალი მას შემდეგ ატყდა, როცა მშობლებმა გეოგრაფიის ატლასი გადაშალეს და ეს პროვოკაცია აღმოაჩინეს. კერძო სკოლა „ინტელექტი“ იძულებული გახდა, თავი ემართლებინა, მომწოდებელმა რუსეთიდან გამოწერილი დამატებითი ლიტერატურა არასწორად მომანოდაო. ბევრი კითხვის ნიშანი სწორედ აქ ჩნდება: მშობლებს სახელმძღვანელოებში ზემოხსენებული ინფორმაცია რომ არ ენახათ და სოციალურ ქსელში ერთი ამბავი არ აეტყხათ, სკოლა „ინტელექტი“ დირექტორი, პესჩანენკო გადააშლიდა თუ არა რუსეთიდან სპეციალურად ჩამოტანილ მე-7 კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს, ან ყველაფერ ამას განათლების მინისტრი, პროფესიით ბულალტერი თამარ სანიკიძე გაიგებდა თუ არა?

ასე იყო თუ ისე, განათლების სამინისტროც იძულებული გახდა, ხმა ამოეღო. სპეციალურ განცხადებაში, განათლების სამინისტრო მსგავსი ლიტერატურის საგანმანათლებლო სისტემაში არსებობას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობენ მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი გრიფირებული სახელმძღვანელოებით, რომლებშიც მსგავსი შინაარსის ინფორმაცია არაა დაფიქსირებული. სამინისტრო არ გამოირჩევა, რომ რომელიმე რუსულენოვანი ლიტერატურა საქართველოში ნამდვილად გამოჩნდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის სასწავლო პროცესისთვისაა განკუთვნილი.

როგორც საჯარო, ისე კერძო და, მათ შორის, რუსულენოვანი სკოლები გრიფირებული სახელმძღვანელოებით სწავლობენ, – განმარტავენ ქალბატონი სანიკიძის უწყებაში და იქვე, დასძენენ, რომ კერძო სკოლების საქმიანობის მონიტორინგს ხარისხის ეროვნული ცენტრი ახორციელებს. შესაბამისად, მსგავსი მასალის სასწავლო გეგმაში ჩაშვება აუცილებლად შემომწებულ-გამოგუნენილი იქნება და სკოლას შესაბამისი სანქციებიც დაეკისრება.

სანქციები გასაგებია, მაგრამ ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა: რატომ ვერ უზრუნველყოფს განათლების სამინისტრო საქართველოში არსებულ რუსულენოვან სკოლებს ყველა აუცილებელი ლიტერატურით? კიდევ ერთი შეკითხვა:

რუსეთთან, ანუ ოკუპანტთან პოლიტიკური დამოკიდებულების გამო, განათლების მინისტრი ვალდებულია თუ არა, ეს საკითხი განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანოს? რა თქმა უნდა, არის და ამას „ქართული სიტყვის“ გამოკითხვაც მეტყველებს. სხვათა შორის, რესპონდენტებიდან რამდენიმე სპეციალურად რუსულენოვანი მოქალაქე შევარჩიეთ. „შვილი რუსულ სკოლაში დამყავს და სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი, რომლითაც სწავლობს, საქართველოში გამოცემული არ არის“, – განაცხადა ერთ-ერთმა ანონიმმა რესპონდენტმა.

– ის მეთოდი, რომლითაც თქვენი შვილი სწავლობს, მოგწონთ?

– კი, ჩემი ოჯახის წევრების დიდი ნაწილი რუსეთში ცხოვრობს და ვიცი, რომ იქაური განათლება უფრო გამო-

ადგება.

– თქვენი შვილი ქართულს სწავლობს?

– დიახ, წერა-კითხვა ცოტ-ცოტა იცის და საუბარიც ესმის, თუმცა გამართულად ვერ ლაპარაკობს.

– ეროვნებით ვინ ხართ?

– სომეხი...

– შინ შვილს რა ენაზე ელაპარაკებთ?

– სომხურად და რუსულად. სხვათა შორის, რესპონდენტმა არ მოიხურვა, რომ შეკითხვებზე ქართულად ეპასუხა.

ნანკა, რომელიც სტუდენტი და მომავალი ჟურნალისტი, „ქართულ სიტყვას“ განათლების სისტემაში არსებულ სხვა პრობლემებზეც ესაუბრა.

– ნანკა, რომელ კურსზე ხარ?

– სკოლა წელს დავამთავრე და ჩავირიცხე კიდეც... ჩემი უახლოესი მეგობარი კი, გარეთ დარჩა – იმ გაუგებრობაში მოჰყვა, გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა რომ მოიგონა.

– ანუ, ქულები არ ეყო?

– სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, გარეთ რატომ დარჩა, როცა მასზე ნაკლებქულიანები ჩაირიცხნენ.

– ნანკა, ჩვენი განათლების სისტემა მოგწონს?

– სკოლაში სწავლების ხარისხი ძალიან დაბალია. ერთხანობას, კერძო სკოლაში ვსწავლობდი და იქ საერთოდ კატასტროფა იყო...

– რატომ?

– სკოლაში ისეთი განათლება არ მიმიღია, რასაც წესით, უნდა ვიღებდი. თუ რამე ვიცი, კერძო მასწავლებელმა მასწავლა.

– განათლების მინისტრი მოგწონს?

– არა და თანამდებობიდან დიდი ხნის წინ უნდა წასულიყო.

– გაიგე, თბილისში რუსულენოვანი სახელმძღვანელოები რომ შემოიტანეს, სადაც ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ცალკე სახელმწიფოებადაა მოხსენიებული?

– ინტერნეტში ვნახე და ძალიან გავბრაზდი, უფრო განათლების სამინისტროს პოზიციამ გამაბრაზა. ვერ გავიგე, სახელმძღვანელოების შემოტანა უცხო ქვეყნიდან, მით უმეტეს, რუსეთიდან რატომ უნდა გვჭირდებოდეს?! ჩვენი განათლების სისტემას პატრონი არა ჰყავს? მინისტრი, თუნდაც ამ შემთხვევის გამო, უნდა გადადგეს!


ნათია შირაძე

P.S.

მოკლედ, ყველა ლოგიკით, განათლების მინისტრის, მინიმუმ, პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი მაინც უნდა დადგეს! სხვა თუ არაფერი, თამარ სანიკიძე პასუხი იმაზე მაინც უნდა აგოს, თუ როგორ მოხდა ე.წ. ოკუპანტური სახელმძღვანელო დამოუკიდებელი სახელმწიფოს თუნდაც რუსულენოვან სკოლაში. თუკი ქალბატონ სანიკიძეს ამ „ნიუანსების“ გაკონტროლება არ ევალება, აბა, საკითხავია, ათასობით ლარს, ჯამაგირის სახით, რისთვის იღებს?! იმ შემთხვევაში, თუკი უფრო დამაჯერებელ განმარტებას არ გააკეთებს, გაჩნდება გონივრული ეჭვი (არსებობის უფლება ნებისმიერ, მით უმეტეს, გონივრულ ეჭვს აქვს), რომ ქ-ნი თ. სანიკიძე ოკუპანტებთან ფარულად თანამშრომლობს. ოკუპანტებთან თანამშრომლობა კი, მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყნისა და ერის ლალატია!







„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარგო ლინაძე

საქართველო  
საქართველო  
საქართველო

## განხილვა



Irina Paichadze

ირინა პაიჭაძის ფოტო

### მე-10 გვერდიდან

ყვეტი ჰიდროლოგიური დაკვირვება მიმდინარეობდა, თუ როგორ იყო მდინარეების კლება, ნალექიანობა. კომუნისტების დროს რამდენიმე ათეული ასეთი ლაბორატორია მოქმედებდა. მეცნიერება რომ მაღალ დონეზე ყოფილიყო, ვერეს ხეობაში წინასწარი შეტყობინების დანადგარი მაინც იქნებოდა დამონტაჟებული.

**– რა ხელსაწყოებზე საუბარი?**  
– ნალექსაზომი ხელსაწყოები, რომლებიც მდინარეების დონის აწვევის შესახებ დროულ ინფორმაციას მოგვანდებდა. დღეს ყველაფერი ელექტრონულად ხდება, როცა ხედავ, რომ ორ საათში იმდენი ნალექი მოდის, რამდენიც ერთი თვის ნორმას შეეფერება, შესაბამისი ზომებიც უნდა მიიღო, თანაც ვერეს ხეობა, წესით, წინასწარ შესწავლილი გაქვს, იცი, რომ ვერეს ხეობას დიდი წყალშემკრები აქვს და ბოლოს, პატარა გვირაბში გამოედინება. იმ ავბედით ღამეს მდინარის დონემ აინია, სამაშველო სამსახური ამოქმედდა, მაგრამ ვერეს ხეობაში დატრიალებულ სიტუაციას ვერანაირი სამაშველო ვერ განმუხტავდა, მაგრამ სიგნალის შემთხვევაში, ხალხის ევაკუაცია დროულად მოხდებოდა, ზარალი და მსხვერპლიც ნაკლები იქნებოდა. ეს მეცნიერების მიმართ გამოჩენილი უყურადღებობის შედეგია. ამბობენ, რომ მსგავსი სტიქია საქართველოში 50 წელიწადში ერთხელ ხდება, მაგრამ 50 წელიწადშიც კი, 21 ადამიანის დაკარგვა დიდი ტრაგედიაა. ვერეს ხეობაში სტიქიის შედეგებს მეგობრის სახლიდან გადავყურებდი, როგორც შევნიშნე, რამდენიმე სახლის ოთახებიდან ფხვს გადმოდგამდი და პირდაპირ მდინარეში ჩაყოფდი. გამოსაკვლევი, იქ სახლების აშენების ნებართვა ვინ გასცა, როცა 60-იან წლებში იგივე უბედურება დატრიალდა და მოვარდნილმა წყალმა ზოოპარკი დატბორა. საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოს კარგი სპეციალისტები ჰყავს, მაგრამ სამეცნიერო კვლევითი ინ-

**„რამდენი საერთაშორისო კონფერენცია ტარდება, სადაც ჩვენი უნივერსიტეტი მონაწილეობს, მაგრამ უსახსრობის გამო ჩვენი მეცნიერები წასვლას ვერ ახერხებენ. მთავრობა კი, ხალხის სოციალურ მდგომარეობაზე ამახვილებს და მეცნიერება უკანა პლანზე გადაჰყავს. გაჭირვებულ მოქალაქეებს, ცხადია, უნდა მივხედოთ, მაგრამ გეოგრაფიაში, გლაციოლოგიაში, გეოგრაფიასა და სტრუქტურული გეოლოგიაში, სტიქიური უბედურების შედეგებში, ზარალსა და მსხვერპლს ავგვირდებ, საბიუჯეტო ხარჯვებსაც შეამცირებს.“**

სტიქიუტები იმისთვის არსებობენ, რომ დროულად გამოიკვლიონ არსებული სიტუაცია და მომავალი განჭვრიტონ.  
– **ლევან, ამბობთ, რომ საქართველოს მცინვარები მსოფლიო ბაზაში არ იძებნებოდა. დღესაც ასეა?**  
– შვეიცარიაში „მსოფლიო მცინვარების მონიტორინგის ცენტრი“ არსებობს, რომელსაც ყველა ქვეყანაში საკუთარი ოფიციალური კორესპონდენტი ჰყავს. საქართველოს გეოგრაფიის კვლევითი ინსტიტუტის დიდი ძალისხმევით შედეგად, ცენტრის ხელმძღვანელი მარგ დიურგერი საქმის კურსშია და უკვე იციან, რომ ჩვენ გვაქვს კვლევების ჯგუფი, საერთაშორისო პრესაში, საქართველოს მცინვარებზე, მრავალ ენაზე, სტატიები გამოქვეყნდა, რასაც ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. ჩვენს პატარა ქვეყანაში 600-მეტი მცინვარია, რატომ არ უნდა იცოდეს მსოფლიომ ამის შესახებ? ინტერნეტსივრცეში საქართველოს მცინვარებზე ნებისმიერ ინფორმაციას უკვე მოიძიებთ. ცოტა ხნის წინ, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის სპეციალისტები დევდორაკის პლატოს გასაბურღად ჩამოვიდნენ. მომავალი წლის სექტემბერში კი, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი, აშშ მეინის უნივერსიტეტის კლიმატის ცვლილებების ინსტიტუტის წარმომადგენლები ჩამოვყავს...  
– **2011 წელს, საქართველო კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციას შეუერთ-**

ობის ქვეყნებში აქვს გავლილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მათგანს ქვეყნიდან წასვლის შანსი აქვს, მაგრამ ამბობენ, განათლება ქვეყნის გარეთ მივიღოთ და სურვილი გვაქვს, სამშობლოში დავრჩეთ და ეს დარგი განვავითაროთ. დარწმუნებული ვარ, სხვა ინსტიტუტებშიც იგივე მდგომარეობაა. გარდა იმისა, რომ გლაციოლოგია ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტი ერთადერთი კვლევითი დაწესებულებაა მთელ ამიერკავკასიაში. თუ სწავლის მაღალი ხარისხი გვინდა, პროფესორ-მასწავლებლები კვალიფიციურნი უნდა იყვნენ. პირველი დიდი პრობლემა სამეცნიერო ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ურთიერთობებია, ისინი ერთმანეთზე მიბმულნი არიან. საქართველოში დღეს სამეცნიერო ასაკი 60 წელია, მაღალ ქვეყანაში ამ ადამიანების დეფიციტი იქნება. მერე რას ვიზამთ? საზღვარგარეთიდან სპეციალისტების ჩამოყვანა იმდენად ძვირი დაჯდება, რომ ჯობს, ფული სასწავლებლების განსავითარებლად დაიხარჯოს. მეცნიერების განვითარების გარეშე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა წინ ვერ წავა, კორეის მაგალითს მოვიყვან – მთავრობამ ინვესტიცია მეცნიერებაში ჩადო და უმოკლეს დროში კორეა წარმატებული და ძლიერი გახდა. ქვეყანა, რომლის მეცნიერს ხელფასი 400 ლარი აქვს, ევროკავშირის წევრი ვერ გახდება. რამდენი საერთაშორისო კონფერენცია ტარდება, სადაც ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები განიხილება, მაგრამ უსახსრობის გამო ჩვენი მეცნიერები წასვლას ვერ ახერხებენ. მთავრობა კი, ხალხის სოციალურ მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას და მეცნიერება უკანა პლანზე გადაჰყავს. გაჭირვებულ მოქალაქეებს, ცხადია, უნდა მივხედოთ, მაგრამ გეოგრაფიასა და სტრუქტურული გეოლოგიაში, გეოგრაფიასა და სტრუქტურული გეოლოგიაში, სტიქიური უბედურების შედეგებში, ზარალსა და მსხვერპლს ავგვირდებ, საბიუჯეტო ხარჯვებსაც შეამცირებს.

ესაუბრა ნათია შოგიტიძე



საქრებულო  
საქრებულო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“

კონსტანტინე

განათლება

# დიდი „ბარდაკი“ თსუ-ში



**„მორჩით მზესუმზირის  
ჭაგას და მოგვხადეთ!“ —  
სტუდენტების მიმართვა  
ადმინისტრაციას**

„აი, ნული საგანი რომ გაქვს არჩეული, ყველა საგანზე ადგილები გადავსებულია და, ეს უნივერსიტეტი ნომერ პირველი რომ არის საქართველოში, მანდ არის ძირითადი პრობლემა, სტუდენტს რომ იმის საშუალება არ აქვს, საგანი აირჩიოს, რაღა ზეა საუბარი? გახადეს ბავშვები საგნის „ხამები“ — 20 საათით ადრე სხდებიან კომპიუტერებთან, რათა რაღაცის არჩევა მაინც შეძლონ“, — ასეთ განცხადებებს ხშირად მოისმენთ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისგან. მათი მოთხოვნა — საგნების არჩევა თავისუფლად და უპრობლემოდ შეძლონ, უცვლელია.

თსუ-ში სტუდენტები საგნებს ელექტრონულ ფორმატში ირჩევენ, ადმინისტრაცია თითოეულ საგანზე საზღვრავს ადგილებს, რომლებიც, როგორც წესი, სტუდენტთა რაოდენობაზე ბევრად ნაკლებია. ამას მოჰყვება უსაგნოდ დარჩენილ სტუდენტთა არმია, რომელიც ყოველ წელს ითხოვს სისტემის შეცვლას, მაგრამ თავს არ ავინ იწუხებს და ერთადერთი გამოსავალი რჩება ხოლმე: ადმინისტრაციამ ყველა საგანზე დაამატოს ადგილები, რასაც გადაჭედული აუდიტორიები და არასახარბიელო სასწავლო პროცესი მოსდევს. ესე იგი, გამოდის, რომ თსუ-ს სტუდენტთა იმ რაოდენობის მომსახურება არ შეუძლია, რაც ადმინისტრაციის მიერაა დეკლარირებული.

ისიც სამწუხაროა, რომ უნივერსიტეტს თავისი უპირველესი მოვალეობა ავიწყდება და საგნებით უზრუნველყოფა რატომღაც მხოლოდ სტუდენტების პრობლემაა, ვიდრე — სასწავლო დანახარების. არადა, ამ რეალობიდან გამოსავალი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნდა მოძებნოს, თორემ სტუდენტებს პრობლემის, უბრალოდ, სააშკარაოზე გამოტანა შეეკიდლია.

**ალექსანდრე შამათაძე, სტუდენტი:** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც მრავალი წელია, საქართველოს საუკეთესო უნივერსიტეტი, განათლების უმაღლეს კერად ითვლება და, პრაქტიკულად, დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოა. ამავდროულად, ამ უნივერსიტეტში ჩარიცხულ თითქმის ყველა სტუდენტს საგნების არჩევის პრობლემა ექმნება, რაც, ჩემი აზრით, არა მარტო ამ კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის, არამედ, მთლიანად განათლების სამინისტროს სერიოზული ხარვეზია. თსუ თავის მომსახურებაში თანხას იღებს სტუდენტისგან და სახელმწიფოსგანაც, ამიტომ ვალდებულია, ნებისმიერი ის ხარვეზი აღმოფხვრას, რომელიც სასწავლო პროცესს ხელს

შეუშლის. თუკი თსუ საქართველოში ყველაზე კარგი უნივერსიტეტია, წარმოდგენაც არ მინდა, თუ რა ხდება სხვაგან. მოკლედ, სტუდენტი მხოლოდ სწავლაზე უნდა იყოს ორიენტირებული და იმაზე არ უნდა იფიქროს, ამ სემესტრში საგნების გარეშე დარჩება თუ ნორმალურად სწავლას შეძლებს.

**მიხეილ ბენაიძე, სტუდენტი:** — წელს ნათლად დავინახეთ, თუ როგორი გაუმართავი

რთავი სისტემა აქვს თსუ-ს. უნივერსიტეტს, რომელსაც პირველობაზე აქვს პრეტენზია, მსგავსი ხარვეზები არ უნდა ჰქონდეს. ესაა სისტემა, სადაც ბიუროკრატის თანმდევი პრობლემები ჰყვავის, საგნების უკმარისობა, ბავშვის შეფერხება, საგნების გაუთავებელი ნაშლა-დამატება სტუდენტში დაბნეულობას, სტრესსა და დამაბულობას იწვევს. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნო ადმინისტრაციაში მომუშავე ხალხის არაპროფესიონალიზმიც, ხალხისა, რომელიც მომსახურების ნაცვლად, დაბნეულ სტუდენტებს კიდევ უფრო აშინებს და ძაბავს.

**ელენე მამაბეიშვილი, სტუდენტი:** — როგორც ყველა სხვა დანარჩენი, საგნების თავისუფლად არჩევის სისტემაზე ფასადური იმიტომ, რომ ბოლოს მაინც „თამ-

რიკობთან“ უნდა იდგე რიგში და ეხვე-  
ნო, უსაგნოდ არ დაგტოვონ. ამიტომ ჯო-  
ბია, ფანქრით დაგვიწერონ ცხრილები,  
მაგის იქით მაინც არ განვითარებულან!

**ზურა გამთენაძე, სტუდენტი:** — ყოვე-  
ლი რეგისტრაცია გაუთვლელი და დაუგე-  
გმავია, რეგისტრაციის მერე ასწორებენ  
პრობლემებს და შემდეგ რეგისტრაციაზე  
არ ითვალისწინებენ, უბრალოდ, ერთიანი  
სისტემა არაა, თუ როგორ უნდა მოხდეს  
რეგისტრაცია.

**ნიკა ბრეგვაძე, სტუდენტი:** — თსუ-ში  
მოსაწესრიგებელი მხოლოდ საგნების არ-  
ჩევის სისტემა არაა. ასევე, მოსაწესრიგე-  
ბელია სემესტრის ვადები, რომელიც ყვე-  
ლაზე უაზრო და უნიჭოა. გადასახედა  
გამოცდების ვადებიც, 2 შუალედურის ნა-  
ცვლად, ერთი უნდა იყოს. არის შემთხვე-  
ვები, როდესაც სტუდენტი აგვისტოს თვე-  
ში რჩება სწავლას. მოკლედ, იმდენი რამე-  
ვა შესაცვლელი, რომ ჯობია, სისტემის  
შემუშავება ახლიდან დაიწყო, ყველაფე-  
რი ეს კი, ნაგავია! თუ საქმე საგნების თა-  
ვისუფალ არჩევაზე მიდგება, ვიტყვი,  
რომ წინასწარი რეგისტრაცია უნდა ჩატ-  
არდეს, რომლის დროსაც საგნებზე განსა-  
ზღვრული რაოდენობა ულიმიტო იქნება,  
ამის შემდეგ დადგინდება სტუდენტების  
მოთხოვნილება ამა თუ იმ საგანზე და უნი-  
ვერსიტეტი იმდენ ადგილსა და ლექტორ-  
ს დაამატებს, რამდენიც საჭიროა. ეს თა-  
ვისუფლება კი, უნიჭობა და უსამართლო-  
ბაა! ეს ანარქიას ჰგავს და თსუ-ს უნივერ-  
სიტეტად ვერასოდეს აღვიქვავ იმიტომ,  
რომ სკოლა უფრო მოწესრიგებულია.

**ლამა ჩალაძე, სტუდენტი:** — უნივერს-  
იტეტი გრანტის გამო იღებს დიდი რაოდ-  
ენობით სტუდენტებს, მერე, ის ფულადი  
რესურსი სად ქრება, კაცმა არ იცის... ფა-  
ქტია, რომ ჯერ კიდევ გადაუთარგმნელი  
მასალებით გვინებს სწავლა, საგნებზე  
ადგილები შეზღუდულია, ამიტომ, უნივე-  
რსიტეტს მეორე სალექციო ჯგუფის გაკე-  
თებაც უნდა, რასაც ლექტორის დამატე-  
ბითი მუშაობა სჭირდება, მუშაობას კი,  
ანაზღაურება, რომელიც იშვიათად თუ  
გამოიძენება ხოლმე. არის საგნები, რომ-  
ლებიც დიპლომის წინაპრობაა და ხანდ-  
ახან, ამ საგნების არჩევაზეც პრობლემები  
გვაქვს.

ამ სტატიაში თსუ-ს ერთი ოფიციალუ-  
რი წარმომადგენლის პოზიციაზე არ დაფ-  
იქსირდება იმიტომ, რომ ჩემი უნივერსი-  
ტეტში მისთვის პირველივე დღიდან სწო-  
რედ ზემოსხენებულ პრობლემებზეა საუბ-  
არი. ყველა სასწავლო წლის დანახარების  
წინ იმართება არსებული სისტემის საწინ-  
აღმდეგო აქციები, თსუ-ს ხელმძღვანელ-  
ობა კი, მხოლოდ ფორმალური პასუხები-  
თა და შეხვედრებით იფარგლება. ბევრჯე-  
რ დაგვიპირდნენ ვითარების გამოსწორე-  
ბას, თუმცა ყველაფერი გაუარესდა. ადმი-  
ნისტრაციის წევრები თავს მოვალეობის  
მოხდის მიზნით იწუხებენ, თუ სტუდენტმა  
უნდა მოაწესრიგოს საორგანიზაციო საკ-  
ითხები, მაშინ ადმინისტრაცია რისთვის-  
ღა არსებობს? სტუდენტების პრობლემა  
არაა, რომ უნივერსიტეტს არასაკმარისი  
აუდიტორიები და ინვენტარი აქვს, ასევე,  
არასაკმარისი პროფესორები ჰყავს. ეს  
მხოლოდ ადმინისტრაციის პრობლემაა  
და თუ გადაჭრის გზებს არ დასახავს, ან  
მცირე რაოდენობის სტუდენტი მიიღოს, ან  
პირველობაზე აღარ ჰქონდეს პრეტენზია.  
პასუხი პასუხისთვის — ესაა თსუ-ს ხელმძ-  
ღვანელობის პოლიტიკა. აზრი არც დეკა-  
ნის ან რექტორის ცვლილებას აქვს, თუ  
ჩვენი სტუდენტური ყოველდღიურობა არ  
შეიცვლება. სტუდენტებს სურთ განათლ-  
ების მიღება, რის საშუალებასაც თავად  
უნივერსიტეტი არ გვაძლევს. ეს ვითარე-  
ბა პარადოქსულია, თუმცა ხელმძღვანელ-  
ობისთვის იმდენად მისაღები გახდა, რომ  
ალბათ, ვერც მიხვდება, რაზე ვსაუბრობ.  
რა თქმა უნდა, საგნების არჩევა და ორგა-  
ნიზაციული საკითხები მთლიანად არ წა-  
რმოაჩენს თსუ-ში არსებულ პრობლემებს,  
მაგრამ ვფიქრობ, ამ საკითხების მოგვარ-  
ება შედარებით მარტივია. ამიტომ ადმინ-  
ისტრაციის წარმომადგენლებს ურჩევნი-  
ათ, ყურები შეიბერტყონ, რათა შესვენებ-  
ის დროს, აფორიაქებულმა სტუდენტებმა  
მზესუმზირისა და მინის თბილისის მირთმე-  
ვაში ხელი არ შეუშალონ.

დავით ბალაშვილი



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაც“

კარნეგ ლინჩი

## საინფორმაციო მხარდაჭერა

1) სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (9 კლასი) ატესტატი), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის სანბრძლივობა მისამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სწარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1200 ლარი.

პროგრამის სანბრძლივობა მეოთხე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სწარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის სანბრძლივობა მესამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სწარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

კურსდამთავრებულს ენიჭება კრიმინალისტიკის შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

2) მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის მეოთხე (წინაპირობა: საშუალო განათლების დამატურებელი ატესტატი) და მეხუთე საფეხურზე (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის სანბრძლივობა მეოთხე საფეხურზე 60 კრედიტი (ორი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის სანბრძლივობა მესამე საფეხურზე – 120 კრედიტი (ოთხი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი (წლიური).

კურსდამთავრებულს ენიჭება მცირე ბიზნესის მწარმოებლის შესაბამისად მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

საბუთები მიიღება 1 აპრისტოდან 25 სექტემბრამდე.  
სწავლა დაიწყება 28 სექტემბერს.

საბუთების ნუსხა: სკოლის ატესტატი, ვაჭებისათვის სამხედრო აღრიცხვის ბარათი,


2 ფოტო სურათი (3X4), დაბადების მოწმობა, განცხადება.

სურვილის შემთხვევაში გადახდის გრაფიკი შედგება ინდივიდუალურად სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. 55

ტელ.: 2960104

tbuniver.edu@gmail.com



„თბილისის  
სასწავლო  
უნივერსიტეტი“  
აცხადებს  
სტუდენტთა  
მიღებას  
პროფესიული  
პროგრამების  
ფაკულტეტზე:









„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“



საქართველო. საქართველო. საქართველო.

სადაც იმ, ჭეშმარიტება

როგორ განკურნა ქართველმა ფსიქოტერაპევტმა ვანგა ნაღვლის ბუზტის შეტევისგან

1989 წელს, ქართველმა ფსიქოტერაპევტმა, გია სულაქველიძემ ვანგას უმკურნალა და მორჩინა... 1992 წლის 26 ივლისს, ვანგას დავალებით, საქართველოში ბელგიელმა ჟურნალისტმა, რატკა მილევამ დარეკა და თქვა, რომ ვანგა პირადად ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრას ითხოვდა, თუმცა შევარდნაძემდე ეს ინფორმაცია არ მისულა... მოკლედ, რა უნდა ეთქვა ედუარდ შევარდნაძისთვის და მართლა დაინახა თუ არა ვანგამ საქართველოს დასასრული? „ქართული სიტყვა“ გია სულაქველიძეს ესაუბრა:

გია სულაქველიძე: „ვანგამ ანაფორა მარჯა“

— პირველად ბულგარეთში, კერძოდ, ველინგრადში 1988 წელს დასასვენებლად ჩავივიდი და როცა გაიგეს, რომ ჯუნა დავითაშვილის მეთოდით ვმკურნალობდი, პაციენტების გასინჯვა მოხდა. ორი კვირის განმავლობაში ვმუშაობდი და კარგი ავტორიტეტით მოვიპოვე. ჩემს არამედიკამენტურ თერაპიაზე მაღალი მოთხოვნა იყო. 1989 წელს, ერთმა პაციენტმა ოჯახთან ერთად მიმიწვია და როცა მკითხა, რა მსურდა, ვანგასთან შეხვედრა მოვისურვე. იქაური რადიოჟურნალისტი, რატკა მილევა ჩემს მანიპულაციებს რადიოსთვის იწერდა. ვანგასთან მისვლა ადვილი არ იყო და სწორედ ამ ჟურნალისტმა იპოვა ადამიანი, რომელიც შეხვედრას მოგვინებდა.

— ვანგასთან შეხვედრა რატომ გინდოდა?

— მაინტერესებდა, სწორად ვმუშაობდი თუ არა... როცა მივედი, ცუდად იყო, მიღება არ შეეძლო. იმ ჟურნალისტმა თქვა, იქნებ, ისე შევიდეს, როგორც ექიმო და, მართლაც, შევიდა. ვანგას ნაღვლის ბუზტის მწვავე შეტევა ჰქონდა და ხვნივლიდა. ჩემი მეთოდით, დაახლოებით, 20-წუთიანი მკურნალობის შემდეგ, დამშვიდდა და ტკივილიც მოეხსნა.

— ანუ, ვანგა მორჩინეთ...

— დიახ, ეს ცნობილი ფაქტია. — მაინც, როგორ მორჩინეთ? — ადამიანის სხეულიდან ყველა ინფორმაცია გარკვეულ ადგილას გამოდის და იმ ადგილას, ხელის მიდებით ვიგრძენი, თუ რა სტიკოდა. ენობრივი ბარიერი გვექონდა, თარჯიმანი გარეთ იყო, ამიტომ თავად ვერ მეტყვოდა, თუ რა ან უნებდა... ხელი მაჯებში ჩავავლე, კონტაქტურად მივანიშნე, რომ მისი პრობლემა დავინახე, წრე შეიკრა, უფლება მომცა და დისტანციურად ვუმკურნალე. ხვნივლია გაუარა, ჩანყნარდა და ჩაეძინა.

— პაციენტის ტკივილი თქვენზე ხომ არ გადმოვიდა?

— პაციენტის ტკივილი ჩემზე არასდროს გადმოდის, რადგან დაცვა მაქვს. ნარმოიდგინეთ ონკანი, როცა დაკეტილია, სწორედ მაშინ ეკიდება მტკერი, მაშინ კი, როცა მოშვებულია და წყალი გამოდებოთ გამოდის, სუფთაა. მეც ენერჯის გამოდებობით ვუშვებ, ამიტომ ჩემში უარყოფითი ენერჯია ვერ შეგროვდება. ეს ჩემი ბუნებრივი თვისებაა და უნივერსალურ ენერჯეტიკულ დონორად ვითვლები.

— ეს ნიჭი ბუნებრივია თუ მისი შექმნა და რუსულან რუსიანს ბრწყინვალე ჟურნალისტს

შემოქმედის სიდიადე მისივე სიყვარულშია, შენს გვერდში ვარ სიკვდილამდე, მართლის სიტყვა გულშია. ჩუმად ვამბობ, არ ვლრიალებ, სიტყვას ციდან ვსწავლობდი და შენ თუკი გაღიარებ, მხოლოდ უფლის წყალობით. ის გაქვს, ღმერთმა რაც მოგმადლა ციდან თოვლის ფერებად, ვლოცავ მე შენს კაცობას და კეთილგონიერებას. თასი ღვინოთ აივსება, შენ არასდროს შეგშლია, კაცის ბედი და ღმერთი, რა თქმა უნდა, შენშია! ჯანსუღ ჩარკვიანი

განვითარება შეიძლება?

— ეს ნიჭი, პოზიხისა არ იყოს, ან გაქვს, ან — არა. თუ ექიმი ხარ და ანატომია კარგად იცი, მით უმეტეს, კარგად გამოგივა. ამ ამბიდან მეორე დღეს, ვანგამ დამიბარა და მიაბო, თუ ვინ ვიყავი, რამდენი წლის, რას ვაკეთებდი, გარეთ ვინ მელოდებოდა, მოკლედ, ყველაფერი მითხრა...

— მომავალი?

— დიახ, მომავალიც. წამოსვლისას პატარა ანაფორა მაჩუქა, რომლის ორივე მხარე მოხატულია. ერთ მხარეს ყურძნისა და ღვინის სცენა ახატია, მეორე მხარეს კი — ბორცის დაძლევის. ვანგასთან მილიონი ადამიანი ნამყოფი, თუმცა მისგან საჩუქრის პატივი მხოლოდ მე და ყალმუხეთისა და ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ კირსან ილიუშინოვს გვერგო.

1992 წლის 26 ივლისს, ვანგამ რატკა მილევას დაარეკინა, გია საქართველოს ხელმძღვანელითურთ ჩამოვიდეს, რაღაც უნდა ვუთხრა. შევარდნაძის ნახვა ვერ მოვახერხე და შევუთვალე, რომ ვანგა მასთან შეხვედრას ითხოვდა, თუმცა არ გადასცეს.

— ვანგას შევარდნაძისთვის ასეთი რა უნდა ეთქვა?

— არ ვიცი, ეტყობა, რაღაც ისეთი, რაც პოლიტიკურ ჭრილში გამოადგებოდა. — საქართველოზე ვანგამ თქვენ არაფერი გითხრა? — არა. მხოლოდ თქვა, თქვენ ისევ იმ ტერიტორიაზე იცხოვრებთ, რომელზეც ცხოვრობთ.

— ამბობენ, ვანგამ თქვა, საქართველოს მომავალში ველარ ვხედავო...

— არა, არ უთქვამს, ეს სიცრუეა. მაჩვენეთ ის პიროვნება, ვისაც ეს უთხრა. მან, ვინც ამას ამბობს, ისიც არ იცის, რომ ვანგასთან რუსულ ენაზე ვერ ილაპარაკებდი და მასთან ურთიერთობა თარჯიმანის საშუალებით ხდებოდა.

— ბატონო გია, ის, რაც ვანგამ პირადად გინინასწარმეტყველათ, ახდა?

— დროს ზუსტად ვერ ამბობდა, მაგრამ მითხრა, მსოფლიოში ცნობილი გახდებოდა და ვგრძნობ, წელს ჩემი დროა!

— ამას რითი გრძნობთ?

— ვანგაზე, ჯუნასა და კიდევ რამდენიმე ფენომენზე ბროშურას ვამზადებ... ვანგას ნაჩუქარი ანფორის შინაარსიც რამდენიმე დღის წინ ამოვხსენი. ზუსტად ვერავინ მითხრა, იქ რა იყო გამოსახული... ჩემი აზრით, ორივე ნახატს სიმბოლური დატვირთვა აქვს: ერთი ნიშნავს — ქართველი ხარ და ყურძენი შენი ძირითადი ნაწილია, მით უმეტეს, იქვე ვილაჩ ჩანგზეც უკრავს, ესე იგი, ჩვენგან მუსიკაც განუყოფელია. ორივე ერთად კი, სიყვარულის სიმბოლოა. მეორე ნახატი საკუთარ თავში ბოროტების დამარცხებას გულისხმობს.

...ვანგამ მითხრა, აქ ორჯერ, ან სამჯერ კიდევ ჩამოხვალ. ჩემი უახლოესი გეგმა კირსან ილიუშინოვთან სულიერი მშობის დამყარება და დამეგობრებაა.

— ვანგამ ისიც ხომ არ გითხრა, იქ ჩასვლა ისევ რატომ მოგიწევთ?

— ალბათ, ჩვენი, საქართველოსა და ყალმუხეთის ურთიერთობების ალადგენად. შარშან თუ შარშანწინ კირსანი საქართველოში იყო ჩამოსული და ბიძინა ივანიშვილს, სიმბოლურად, ჭადრაკი ეთამაშა. მე რომ მცოდნოდა, აუცილებლად შევხვდებოდი, მაგრამ არ ვიცოდი.

— ჭადრაკი გიყვარათ?

— დიახ, მაგრამ ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, ან პირველი უნდა ვიყო, ან საერთოდ არ უნდა ვიყო. ვხატავდი, მაგრამ პირველი



„ადამიანის სხეულიდან ყველა ინფორმაცია გარკვეულ ადგილას გამოდის და იმ ადგილას, ხელის მიდებით ვიგრძენი, თუ რა სტიკოდა. ენობრივი ბარიერი გვექონდა, თარჯიმანი გარეთ იყო, ამიტომ თავად ვერ მეტყვოდა, თუ რა ან უნებდა... ხელი მაჯებში ჩავავლე, კონტაქტურად მივანიშნე, რომ მისი პრობლემა დავინახე, წრე შეიკრა, უფლება მომცა და დისტანციურად ვუმკურნალე. ხვნივლია გაუარა, ჩანყნარდა და ჩაეძინა“.



არ ვიყავი და თავი დავანებე. — პირველი რაში ხართ, ბატონო გია? — კომპლექსურ, არამედიკამენტურ მეთოდში — სუჯოკ თერაპია, ვერბალური ფსიქოთერაპია და ჯუნას მეთოდიკა გავაერთიანე... ძალიან რთული პაციენტებიც მყოფია, მაგრამ იციან, რომ იმას, რასაც მიყვებიან, ვერავინ გაიგებს და მხოლოდ ჩვენში დარჩება. — ბატონო გია, ენ. ცნობადი სახეებიც გაკითხავენ? — ნუ ჩამეძიებ, მაგის თქმის უფლება არ მაქვს. — დაკონკრეტებას არ გთხოვთ... — ისაკვირველია, მოსულან... — ისეთი პრობლემებით, რომელთა გამჯღავნებაც საფრთხეს მოუტანდათ? — რასაკვირველია... — პოლიტიკოსები? — ბიზნესმენები... დღეს უკვე პოლიტიკოსები... — ანუ, „ბიზნესმენი პოლიტიკოსები“? — დიახ. — დღეს პარლამენტში არიან?



საქართველო  
საქართველო. ქართული

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“

კარგა ჯანაძე

## ■ არა-ჩვეულებრივი გვერდი

# მეგ რაიანს სასიყვარულო სიბრძნეები



მარგარეტ მერი ემილი ენი ჰაირა, რომელსაც მთელი მსოფლიო მეგ რაიანის სახელით იცნობს და რომელსაც რომანტიკული კომედიის დედოფლად აღიარებენ, ეკრანზე მუდამ დამსახურებულ ბედნიერებას აღწევს. სამაგიეროდ, ცხოვრებაში მამაკაცებთან ურთიერთობას ვერ აწყობს და ამიტომ, 13 წლის წინ გადაწყვიტა, მამაკაცებზე საერთოდ უარი ეთქვა, თუმცა 2011 წლის დასაწყისში, მეგის გულის დაპყრობა მუსიკოსმა ჯონ მალენკამფმა მოახერხა.

მარგარეტ მერი ემილი ენი ჰაირა ბავშვობიდან სიმპათიური, მოწესრიგებული და რომანტიკული გოგონა იყო. ცისფერთვალება მეგს თანაკლასელები ეთაყვანებოდნენ, თუმცა თვითონ საოცრად უკარება იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ, კონექტიკუტის შტატის უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მოეწყო და პირველი ბოიფრენდიც სწორედ მაშინ გამოუჩნდა.

მეგმა სამსახიობო პროფესიას ხელი მხოლოდ იმისთვის მოკიდა, რომ სწავლის ფული გადაეხადა. დედის, სიუზენის დახმარებით, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ქასთინგების აგენტად მუშაობდა, პეგიმ, როგორც მას შინაურები ეძახდნენ, აშშ-ის მსახიობთა გილდიის ბარათი მიიღო, რამაც საშუალება მისცა ტელევიზიულ და სარეკლამო რგოლებში პატარა პატარა როლები ეთამაშა.

სხვათა შორის, მეგის დედა მთელი ცხოვრება კინოში გადაღებაზე ოცნებობდა, მაგრამ ნატერა ვერ აიხდინა... მომავალი ვარსკვლავის დედა კონექტიკუტის შტატის პატარა ქალაქ ფეირფილდში დასახლდა და ცოლად მეგის მამას – მათემატიკის მასწავლებელს გაჰყვა, რომელსაც ოთხი შვილი აჩუქა, თუმცა თავგადასავლების სიყვარული არ განელებია და 20-წლიანი ცოლქმრობის შემდეგ, სიუზენმა ყველაფერი მიატოვა და ბედილობის საძიებლად ნიუ იორკში გაემგზავრა. ფრიადოსანი მეგი კი მამას უმცროსი შვილების გაზრდაში ეხმარებოდა.

უნივერსიტეტში რაიანმა მსახიობი ენტონი ედვარდსი გაიცნო, რომელიც მოგვიანებით სერიალ „სასწრაფო დახმარების“ ვარსკვლავად – ექიმ მარკ გრინად იქცა. ენტონიმ შეყვარებული გადასაღებ მოედანზე მიიყვანა და... რაიანის დებიუტი ფილმ „მდიდრებსა და ცნობილებში“ შედგა.


კინონდუსტრიაში ჩართულმა მეგიმ ფსევდონიმად დედის ქალიშვილობის გვარი აიღო. ისე, დედა-შვილს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ურთიერთობა არ ჰქონია, რადგან პეგიმ სიუზენს დიდი ხნის წინანდელი ლალატი ვერ აპატიო.

პირველივე ფილმის შემდეგ, რაიანი მიხვდა, რომ მსუბუქი, რომანტიკული კომედიები მისი ამბლუა იყო. მაყურებელს სიფრიფანა, კაფანდარა ქალიშვილის ტიპაჟი ამერიკული კინოს სხვა კერპს – მერი პიკფორდს აგონებდა.

თავდაპირველად რეჟისორები მეგს მხოლოდ ისეთ სერიალებში ათამაშებდნენ, როგორცაა, მაგალითად, „ემი და ანგელოზი“, „მხოლოდ სკოლის შემდეგ“.

მოგვიანებით დიდ ეკრანზეც მიიწვიეს და მისმა კინოკარიერამ აღმასვლა დაიწყო. როგორი უცნაურიც უნდა იყოს, დიდი კინოს რეჟისორებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს მსახიობის რომანტიკული ხატება და მას მკაფიოდ ბრუტალურ როლებზე ინვესტირდნენ – რაიანის გმირები სტივენ სპილბერგის „სუპერმარალში“ და „შიდა კოსმოსში“, საუბრის სრულებით არაქალური მანერით, დიდ აღფრთოვანებას იწვევდა. ნამდვილი წარმატება კი, რაიანს შემდეგ ეწვია, რაც ფილმში – „როცა ჰარი შეხვდა სალის“ ნაზი რომანტიკული ქალის როლი შეასრულა. სურათი ნამდვილ ჰიტად იქცა, „ოქროს გლობუსის“ ნომინაცია მიიღო და მთელი მსოფლიოს მაყურებელთა გული მოიგო.

წარმატების მომდევნო მწვერვალი მეგმა გულისამაჩუყებელი ფილმით – „უძინარ-



„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას სომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარნეგის

საქართველო  
საქართველო  
საქართველო

## არა-ჩვეულებრივი გვერდი

ები სიეტლში“ დაიპყრო – ამ ფილმისთვის ის მეორედ წარადგინეს „ოქროს გლობუსის“ ნომინაციაზე.

გადასაღებ მოედანზე მსახიობმა მომავალი ქმარი, ცნობილი მსახიობი, წყალნაღვეული ალკოჰოლიკი და ნარკომანი დენის ქუედი გაიცილა, თუმცა მეგმა მისი შეცვლა მოახერხა და დენისი სამაგალითო მეოჯახედ იქცა.

შეყვარებულები წმინდა ვალენტინის დღეს, 1991 წლის 14 თებერვალს დაქორწინდნენ. ერთი წლის შემდეგ წყვილს ვაჟი – ჯეკი შეეძინა.

ვარსკვლავური ოჯახი 10 წელი კალიფორნიაში, მყუდრო ვილაში ცხოვრობდა.

1994 წელს მეგ რაიანს „წლის ქალის“ წოდება მიანიჭეს, გავლენიანმა ჟურნალმა People-მ კი, მსახიობი მსოფლიოს 50 ყველაზე ლამაზი ქალის ნუსხაში შეიყვანა.

ჰოლივუდის სამაგალითო წყვილი ერთმანეთს 2000 წელს დაშორდა. გაყრის მიზეზად ლალატი იქცა, თანაც, ნაზი და უკარება მეგის მხრიდან, რომელმაც რომანი გააჩაღა და მწყობრად ავსტრალიელ მსახიობ რასელ ქროუსთან.

მათ ერთმანეთი ფილმის – „ცხოვრების მტკიცებულება“ მუშაობისას, ეკვადორში გაიცილეს: სახლიდან მოშორებით, საქმიანი ურთიერთობები სწრაფად გადაიზარდა ჯერ – მეგობრულ, შემდეგ კი, სასიყვარულო თავგადასავალში.

მეგმა ახალი ბობოქარი სიყვარულის მორევში შეტოვა: რასელი მეტისმეტად მიმზიდველი და სექსუალური იყო, ტყუილუბრალოდ ხომ არ ანდეს მაქსიმუსის როლი ფილმ „გლადიატორში“. რასელის გულისთვის რაიანი ქმარს დაშორდა, მიუხედავად იმისა, რომ დენისთან 7 წლის შვილი ჰყავდა, თუმცა თავქარიან რასელთან ურთიერთობა არ აენყო. ქროუს სულაც არ გამოდგა „გლადიატორი“...

2002 წელს წყვილი ახალი წლის შესახვედრად ჰავაის კუნძულებზე გაემგზავრა, თუმცა საახალწლო მაგიდასთან მეგი მართო აღმოჩნდა: რასელმა სიგარეტის საყიდლად ბარს მიაშურა, უკან კი მხოლოდ გამთენიისას უგონოდ მთვრალი დაბრუნდა. მეგმა ნიშნობის ბეჭედი ესროლა და მეტად ერთმანეთი აღარც უნახავთ...

ქროუს მეგის გული გაუტეხა და ქალი დიდხანს დეპრესიაში იმყოფებოდა. ამ რომანის შემდეგ, მსახიობს ეკრანზე დასამახსოვრებელი სახეები აღარ შეუქმნია, თუმცა მეგმა რასელი, ბოლოს და ბოლოს, დაივიწყა – ახალგაზრდა მოდელი საყვარელი გაიჩინა და ეროტიკულ ტრილერში – „ვენების ბნელი მხარე“ ითამაშა, რითაც თავიანთი ცემლებს გული დასწყვიტა: მათი აზრით, მეგმა თავისი რომანტიკული გმირების ნათელი ხსოვნა „შეურაცხყო“. ამ „ბრალდების“ საპასუხოდ მსახიობმა განაცხადა, საბანკო ანგარიშზე არსებული თანხა საშუალებას მაძლევს, ის ვაკეთო, რაც მომეპრიანებაო.

2006 წელს, რაიანმა ჩინელი გოგონა, დეივი იშვილა, 2011 წლის იანვარში კი ახალ სიყვარულს შეხვდა: ჯონ მელენკამფი რაიანზე 10 წლით უფროსი იყო. წყვილმა ერთობლივი შევბულება კუნძულ მარტას-ვინიარდიზე გაატარა, შემდეგ კი, ნიუ იორკში გადასახლდა. ჯონი მაშინ ცოლს, ელეინს გაშორდა, რომელთანაც 18 წელი იცხოვრა.

სამწლიანი რომანის შემდეგ, მეგმა საქმროსთან კინალამ ურთიერთობა შეწყვიტა. ჯონი მეგს თავისთან, ინდიანაში გადასახლებას სთხოვდა, მაგრამ რაიანი არ დასთანხმდა, რადგან ნიუ იორკის დატოვება არ სურდა, მუსიკოსს კი – მეგაპოლისში ცხოვრება, თუმცა, როგორც ჩანს, შეყვარებულები დაშორებას მაინც არ აპირებენ – გაზაფხულზე მეგი პაპარაცებმა ჯონსა და დეივი-სთან ერთად შოპინგისას გადაიღეს...

# მეგ რაიანის სასიყვარულო სიბრძნეები





# დაბადების დღეს გილოცავ, თაკო!

...დგება მომენტი, როცა გგონია, რომ ყველაფერი დამთავრდა...

როცა მთელი ცხოვრება წამიერად გაგივლებს...

როცა საკუთარ თავს ბევრ, ძალიან ბევრ შეკითხვას უსვამ. ზოგ შეკითხვაზე პასუხი იცი, ზოგზე – არა, ზოგსაც თავს შეგნებულად არიდებ და...

რალაცნაირ, სამყაროსხელა სიცარიელეს გრძნობ.

ამ დროს უახლოესი ნათესავები თუ ოჯახის წევრები ვერ გამშვიდებენ...

ამ დროს ყველაზე მეტად გჭირდება მეგობარი, მეგობარი, რომელიც არაფერს გკითხავს და შენს გვერდით უსიტყვოდ იქნება;

რომელიც კი არ გაგაკიცხავს, ან დაგამშვიდებს, არამედ, წაგიფითილებს და გეტყვის:

– ეეე, აბა, აზრზე მოდი, ცხოვრება გრძელდება!.. სწორედ ესაა ცხოვრება და სწორედ ამიტომაა საინტერესო!

შენ ისევ დუმხარ, ხმას არ იღებ, ფიქრობ, ფიქრობ და...

ხვდები, რომ შენი მეგობარი ცამდე მართალია...

და ცას, მიწას, გალაქტიკას, არსთაგამრიგეს მადლობას სწირავ, რომ გყავს მეგობარი, რომელმაც გაიძულა, ხელმეორედ დაიბადო!

ეს მდგომარეობა კათარზისი კი არა, კათარზისზე მეტია!

მოკლედ, თაკო, დაბადების დღეს გილოცავ და, უბრალოდ, მადლობა, რომ ჩემი მეგობარი ხარ!

ვანო პავლიაშვილი

## ჯანსუღის სიცილნათელები

<p><b>სრაშუნა</b> სიტყვა „სრაშუნა“ უკუღმა „ანუშარს“ გახლავთ, ბატონო, ნაღმა-უკუღმა ორივეს, ორივეს ერთად ვპატრონობ.</p>	<p><b>ვაშაა!..</b> ალარც მინა-წყალი გვაქვს, ალარც – მთა და მდელი, ჩვენ მსოფლიოს ვალი გვაქვს, ვაი, საქართველო!</p>	<p><b>მთავარი</b> ძველი ტოტი, ვხედავ, მოტყდა, უკეთესი რალა მეტქმის, ერთი რუსის დედაც მოვ...ნ, მთავარია ავლანეთი.</p>	<p><b>ბოლმა</b> ზიზლი და ბოლმა გიზით ნერვებში, ალბათ, ეშმაკმა ასე ინება, არაკაცებო, დროზე შეეშვიო, ივანიშვილის ლანძღვა-გინებას.</p>	<p><b>მესხიერება</b> მე ვეუბნები ნაგრამს, მესხიერება მასხრობს, გვარებს ჩამოვთვლი, მაგრამ არავინ აღარ მასხოვს.</p>	<p><b>სიმართლე</b> მე მართალს ვამბობ, არა – ქორს, მართლით მაქვს გული გამთბარი, „ზამთარი ვარდსა დააჭკნობს“ და გადაგვარჩენს ზამთარი.</p>
---	---	--	---	---	--



**თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) ეივლები – „ეპერჯენსი“**



## დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია



მთავარი რედაქტორი: **ჯანსუღ ჩარკვიანი**  
მთ. რედაქტორის მოადგილე: **ვანო პავლიაშვილი**  
სარედაქციო კოლეგია:  
**ჭაბუა ამირეჯიანი**, **მერაბ ბერძენიშვილი**,  
**გაჩანა ბრეგვაძე**, **თამარ გოცაძე**, **ეზარა კვიციანი**,  
**არგაზ სანელიძე**.

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე, ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძელი, ნათია ლეზანიძე.  
დიზაინერი და ფოტოკორექსორდენტი: **ზურა მებრეული**.

გაზეთი რეპროდუქციული რემონტის ცენტრის (საბაღაშაძის) მიერ. რეპროდუქციის №22851

მისამართი: 26 მაისის მოედანი. №1  
ტელ.: 272-63-90  
E-Mail: qartulicityva@gmail.com

გაზეთი მომზადდა თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მიერ